ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/25

16/11/2017

25-01-17-4-201711161253

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „რეგლამენტის“ 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.დაიწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

2.განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2018 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება 2017 წლის 21 ნოემბერს 12-00 საათზე ქობულეთის კულტურის სახლში. (მის: დ.აღმაშენებლის გამზირი N114.);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე მომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი (მ.ჭათამაძე);

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (მ.მგელაძე-ცქიტიშვილი) უზრუნველყოს გრძანების გამოქვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.org.ge**, საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა მხარეებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ 2017 წლის 21 ნოემბერს 11-00 საათამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141, პირველი სართული, ტელ: 26 79-01);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა